



ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№1 (72) იანვარი, თებერვალი, მარტი 2015 წელი



ბ ს ო რ ბ ს

ღიმიცტი გულია და ათხაზრეტი კულტურის საკითხებში



მობღვატი სკოლაში



საქართველთა ათხაზრეთიდან იწყება...



წმინდანთა ნაკვალევზე



სულიერო სიზმარებისათვის

ცენტრის მოღვაწეობა 2014 წელს აღინიშნა განსხვავებული ფორმისა და მინარსის, მნიშვნელოვნად გაზრდილი აფხაზური თემატიკისა და გამორჩეული ემოციური დატვირთვის ღონისძიებებით. მუშაობის მეთოდი ერთგვარად თავისებური გახდა. უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ გამოსაყოფია შეხვედრები პიროვნებებთან, რომლებიც მარტო ნიჭით კი არ არიან ცნობადები, არამედ სულიერი სილამაზით არიან საყოველთაო ყურადღების ღირსნი. ამ ხელოვანთა შემოქმედებასთან ზიარების საშუალება ხშირად უშურველად, უანგაროდ გვეძლეოდა. ცენტრის კოლექტივი, თავის მხრივ, ძალ-ღონეს არ იშურებდა, სათანადოდ მიეტანა ამ ხელოვანთა მხატვრული სიტყვა თუ ჰანგი დევნილი მსმენელ-მაყურებლის გულამდე. ასეთ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება: ფილმ „ნაღვლიანი სიხარულის ქრონიკა“ ჩვენება საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის კინოს სახლის დარბაზში (20 მარტი), დედაენის დღისადმი მიძღვნილი საღამო საქართველოს მუსიკალური საზოგადოების დარბაზში (15 აპრილი), ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის საერთაშორისო პრემიით არქიმანდრიტ ადამის (ახალაძის) დაჯილდოვების აღნიშვნა (5 მაისი), თბილისში მოღვაწე მუსიკალური დარგის მოღვაწეებთან შეხვედრა ცენტრის ოფისში (27 ივლისი), ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წარმომადგენელთა შეკრება (13 ივნისი) და სხვ. ვაწუშობელი იყო ჩვენი და ღონისძიებების მონაწილე ადამიანთა მზადყოფნა, სულიერი თანადგომა აღმოეჩინათ დროებით საკუთარ კერას მოწყვეტილი აფხაზეთელებისათვის, სიყვარული და პატივისცემა ენიღადავებინათ მათთვის, გაექარებინათ ურთიერთის ნოსტალგიური ყოფა. ასეთი იყო, თუნდაც, აფხაზურ ოჯახებთან შეხვედრაზე საქართველოს სახალხო არტისტ ელდარ გენადის ზავერდოვანი ბარიტონით თქმული მოგონება სოხუმში თბილისის საოპერო თეატრის გასტროლებისას „მთვარის მოტაცების“ წარმოდგენის შესახებ, კონსერვატორიაში დატვირთული დღის შემდეგ მის მიერვე ახალგაზრდული ენერგიით „გუდისას“ შესრულება (21 ნოემბერი).

ნიშანდობლივად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, ცენტრის თანამშრომელთა მცდელობა ტრადიციულ ქცეული ღონისძიებების ახალი კუთხით წარმოდგენის, განსახილველი თემის ორიგინალური მხრით ჩვენებისა და ამით დამსწრე აუდიტორიის სულიერი ცხოვრების გამდიდრება-გამრავალფეროვნება. უკვე მერამდენე წელია, რაც თებერვლის თვეში ცენტრი სხვადასხვა კუთხით გვაცნობს აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელ, საქართველოს ღირსეულ მოქალაქე დიმიტრი გულიას, მის ცხოვრებას, მოღვაწეობასა და შემოქმედებას. წელს დაბადების 140-ე წლისთავი (21.02) აღინიშნა კავკასიოლოგ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ

რუსუდან ჯანაშიასა და ისტორიკოს, გიორგი შარვაშიძის პრემიის ლაურეატ ნუგზარ ანთელავას საინტერესო საუბრებით ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და ახლახან გამოცემულ წიგნზე „აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები“ (ავტორი ნ. ანთელავა).

თამარის ხსენების დღესთან დაკავშირებით დეკანოზ ბიძინა გუნიას ხელმძღვანელობით შედგა მოლოცვითი მოგზაურობა ვარძიში.

ცენტრის ინიციატივით არაერთხელ მოეწყო აფხაზ მხატვართა ნახატების გამოფენა თბილისის სხვადასხვა დარბაზში, წელს ვალერი ჯობავას ნახელავი ერთი კვირის მანძილზე გამოფენილი იყო ცენტრის ოფისში (21-27.11).

მოსწავლე ახალგაზრდობის წარმატების წარმოჩენას უკვე მეშვიდე წელია ემსახურება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუსიკალური კვირეულის ფარგლებში კონცერტი „ჩემი აფხაზეთი (6 ივნისი). წელს მასში მონაწილეობდა სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის გუნდი ცენტრის დაკვეთით მომზადებული ალექსი მაჭავარიანის საგუნდი ციკლით „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილის ლექსებზე. ეს კონცერტები მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა ერთგვარი ანგარიშია სასწავლო წლის მანძილზე მიღწეული წარმატებებისა, რითაც ვცხმარებით ახალგაზრდებს იმაში, რომ ირწმუნონ თავისი შესაძლებლობები და დაუდევრად არ მოექცნენ მას.

განსხვავებული ინტერესები მქონე ფართო საზოგადოების მოსაზიდად, მასში ემოციური მუხტის გასაღვივებლად დიდი ძალა გააჩნია წარსულისა თუ თანამედროვე მუსიკალურ-ლიტერატურული საგანძურის პროპაგანდას. „მას 30 წელი შეუსრულდებოდა“ - ასე ეწოდა საღამოს, რომელიც მიეძღვნა ჩვენგან 18 წლის ასაკში წასულ მგოსან, პოეტ გენო კალანდიას შეფასებით „პოეზიის მეფეთა კოჰორტის თანასწორ“ დათა გულუას, რომელიც გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის ბინა-მუზეუმში (16.12). გაზაფხულის დასაწყისში მშობლიურ ზუგდიდში დაიკრძალა გამოჩენილი პოეტი რენე კალანდია, რომელსაც არაერთხელ დაუმშვენებია ჩვენი თავყრილობები. ცენტრის თანამშრომლებს მან ღრმა პატივისცემასა და მაღლიერებასთან ერთად დაგვიცვლა გულიანტიკვილიც - უფრო სახიერად გვმართებდა ჩვენი დამოკიდებულების წარმოჩენა მისი ნიჭისა და მისი პოეზიისადმი. ნუგეზად გვრჩება ბატონი რენეს ნაყოფიერი შემოქმედება, რომელიც მომავალში მასზე ზრუნვის საბაბს, უდავოდ, არ მოგვცლებს.

თვეები დასჭირდა „ერგავას“ სახელწოდების პროექტის მომზადებას, რომელიც გვაცნობს სამი ქართველი კლასიკოსის - კონსტანტინე გამსახურდიას, ანთა თაქთაქიშვილისა და შოთა ნიშნიანიძის ნამუშევრებს აფხაზურ თემზე - „მთვარის მოტაცება“. პროექტი საქართველოს

ველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში განხორციელდება 2015 წლის პირველ ნახევარში. დასასრულს მიუახლოვდება მასალის მომზადება ნიგნისთვის (სტატიების კრებული) ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობების შესახებ.

წლის ბოლოს ორი საქველმოქმედო საღამო მოეწყო. ჯერ (21.12) ლეგკემით დაავადებული ბავშვებისათვის იაშვილის სახელობის კლინიკაში რისთვისაც თეატრ „თეთრი ტალღას“ მსახიობები მოგინვიეთ ფრაგმენტებით სპექტაკლებიდან „ციცქნა იას დღეობა“ და „ჩვენი ეზო“. შეხვედრის დასასრულს მარტყოფის ღვთაების ტაძრის წინამძღვარმა ბენიამინმა (ბელქანიამ) დალოცა, აზიარა პატარები და საჩუქრად ხატები გადასცა. შემდეგ კი ჩვენი ორგანიზებით 50 ბავშვი დაესწრო ბავშვთა საბავშვო სტუდიის საშობაო საქველმოქმედო საანგარიშო სპექტაკლს (26.12).

საანგარიშო წელს, წინა წლების მსგავსად, სისტემატური ხასიათი ჰქონდა აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებსა და საჯარო სკოლებში სულიერი მოწყალეების საკითხებზე ზრუნვას, რაც გულისხმობდა ხატის მიბრძანებას, პარაკლისებს, ოჯახებისა და დანესებულეების კურთხევას და საუბრებს მოძღვართან.

ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენში კვლავ შუქდება ცენტრის ყოველდღიური საქმიანობა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებებზე ვათავსებთ მონაწილე სპეციალისტების შეფასებებს. ამასთან ერთად, ბიულეტენი საშუალებას გვაძლევს ჩვენი მრევლის ყურადღება მივაპყროთ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, აფხაზეთის მთავრობისა და მასში შემავალი სტრუქტურების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, როგორც იყო, მაგალითად, დიმიტრი გულიას რეაბილიტირებული ძეგლის გახსნა, ყიული შარტავას 70 წლისთავი, ჩრდილების თეატრის მორიგი სეზონის გახსნა, ახალგაზრდა პერსპექტიული მხატვრის თედო რეხვიამვილის პერსონალური გამოფენა ქარვასლაში და სხვ.

დაბოლოს, ცენტრის მოღვაწეობის არსი ადამიანების სულიერ სინამდვილეზე ზრუნვაა, ხოლო მთავარი იარაღი - მუსიკა. დავით კლდიაშვილი წერდა: „სიმღერა ყოველთვის მიყვარდა, მას ვთვლიდი ხელოვნების უმაღლეს სახეობად, მაგრამ განსაკუთრებით შემიყვარდა ეს ხელოვნება, როდესაც მოგზავნიდი. როდესაც ვისმენ „აბესალომ და ეთერს“ ან „აიდას“, სხვა სამყაროში გავდივარ, ვმორღები ყოველდღიურობას, თავს ვგრძნობ ისე, თითქოს ახალგაზრდა ვიყო. მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის შემდეგ მემატება სულიერი სიმშვიდე და მხნეობა“.

ესაა სულიერებისა და კულტურის ცენტრის მისია.

მეგობრობა გზად და ხილად

ქალთა დღე

ქალთა საერთაშორისო დღე 6 მარტს "ქალთა საბჭოსა" და "ქალთა ასოციაციის" ერთობლივი ძალისხმევით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღვნიშნეთ.



„ქალთა საბჭომ“ უჩვენა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი და 3 აკადემიკოსი ქალბატონი: მარია ლორთქიფანიძე, გურა კვარაცხელია და ნანა ხაზარაძე დააჯილდოვა მედლებითა და სიგელებით. „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა“ მონაწილეობა მიიღო კონცერტის მხატვრული პროგრამის მომზადებაში. საქართველოს სახალხო არტისტ ელდარ გენაძის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატ ალუდა თოდუასა და გოდერძი ჯანელიძის, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ დარეჯან მახაშვილის მიერ შესრულებული ნაწარმოებების თემატიკა ეხმანებოდა აფხაზეთსა და ქალს.

ლონისძიებას უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში 100-მდე სტუმარი ესწრებოდა. უნივერსიტეტის ფოიეში მოწყობილი იყო ქალთა ნამუშევრების - თექის, ნაქსოვ-ნაქარგი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

დიმიტრი გულია და აფხაზური კულტურის საკითხები

ცნობილი აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელ დიმიტრი გულიას დაბადებიდან 140 წლის იუბილეს მიეძ-

ღვნა 2015 წლის 6 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამართული კონფერენცია. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე - პრეზიდენტმა აკად. როინ მეტრეველმა. მოხსენებებით გამოვიდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი, ოთარ ჭურულუიას სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი ტიტე მოსია - „დიმიტრი გულიას ცხოვრება და მოღვაწეობა“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი პროფესორი ვაჟა შენგელია, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სვეტლანა ქეცბა - „დიმიტრი გულია და აფხაზური კულტურის საკითხები“, პროფესორი რუსუდარა ჯანაშია - „დიმიტრი გულია და პროფესორი სიმონ ჯანაშია“. საქართველოს სახალხო არტისტმა გიორგი რატიანმა წაიკითხა დიმიტრი გულიასადმი მიძღვნილი ლექსი.

გთავაზობთ სვეტლანა ქეცბას მოხსენებას:

პოეტი, მწერალი, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, პედაგოგი - ეს ყველაფერი იყო ერთი პიროვნება - დიმიტრი გულია.

დიმიტრი გულია და კულტურა - ესეც განსაკუთრებული, სერიოზული მსჯელობის საგანია. მე მხოლოდ ზოგადად შევეხები ამ საკითხს.

თავის ცხოვრებასა თუ მოღვაწეობაში დიმიტრი გულია მკაფიოდ ატარებს იმ აზრს, რაც თავად კულტურის ცნებას წარმოადგენს. იგი ქმნის მშობლიური ლიტერატურის ასპარეზს, უფრო მეტიც, პირველია, ვინც ეხება აქტუალურ, მნიშვნელოვან სასიცოცხლო თემებს. მისთვის აღზრდა, განვითარება, განათლება, პატივისცემა ლიტონი სიტყვები როდია, მას კარგად ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა საზოგადოების სულიერი სრულყოფის საქმეში.

იგი ქვეყანას იმ ისტორიულ პერი-

ოდში მოეწვინა, როდესაც საზოგადოების განვითარების დონე თავგანწირვას მოითხოვდა, მან შეძლო მთელი თავისი ძალა შეეღია საკუთარი ხალხისათვის, მისი განვითარებისა და აღორძინებისათვის, მისი ზნეობრივი კრიტერიუმების განმტკიცებისათვის.

დაახ, დიმიტრი გულიას მოღვაწეობა კულტურის სფეროში მრავალმხრივია, ღრმა, ძიებებით სავსე და იმიტომაც საინტერესო თავისი მნიშვნელობით, ცხოვრების, ყოველივე იმის შეცნობისაკენ სწრაფვით, რაც მის ირგვლივა ბუნებაში, საზოგადოებაში, ცალკეული ადამიანის და მთელი ხალხის სულში.

კულტურაში უდიდესი როლი ენიჭება ხსოვნას. უკვე რამდენიმე წელია ზედიზედ სულიერებისა და კულტურის ცენტრი აღიშნავს აფხაზი ხალხის გამოჩენილი შვილის დაბადების დღეს. და ესეც კულტურის აქტია, რომელიც სათავეს იღებს ჩვენი ხალხების, თავად დიმიტრი გულიას ტრადიციებიდან. ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ 21 თებერვალს დღესასწაული აღინიშნება არამარტო აფხაზეთში, არამედ აქაც, თბილისში, მოწმობს აფხაზთა და ქართველთა ურყევ ერთობას, რისი მხარდამჭერიც იყო და რჩება დიმიტრი გულია. გავისხენებ ჩვენს რამდენიმე ღონისძიებას: საღამოები: რუსთაველის საზოგადოების დარბაზში ჯანსუღ ჩარკვიანის, ტარიელ ჭანტურიას, ნათან ბააზოვისა და სხვ.მონაწილეობით (2007 წ.); უკრაინაში სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლების შესახებ დიმიტრი ჯაიანის საუბარი, ანზორ ერქომაიშვილის მიერ უნიკალური ქართული და აფხაზური სიმღერების ჩანაწერების პრეზენტაცია, ოთარ ჟორდანიას საუბარი მწერლის შემოქმედების უცნობ დეტალებზე (2008 წ.); ქვაშეთის ტაძრის საკონფერენციო დარბაზში თეიმურაზ გვანცელაძის მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ დიმიტრი გულიასეულ თარგმანზე, ოთარ ჟორდანიას ინფორმაცია დიმიტრი გულიას წვლილზე აფხაზური ლექსიკის განვითარებასა და მის ზღაპრებზე (2009 წ.); სოხუმის უნივერსიტეტში დიმიტრი გულიას ნაწარმოებების წაკითხვა მსახიობების ია სუხიტაშვილისა და ლევან ხურციას მიერ, მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე ოთარ ჟორდანიას, თეიმურაზ გვანცელაძის, ზურაბ პაპასკირის, ლორიკ მარშანიას საუბრები, საკუთარი ლექსები წაიკითხეს გენო და რენე კალანდიებმა (2010 წ.); სამეცნიერო კონფერენცია აფხაზეთის მეცნიერთა და მწერალთა კავშირის

წევრთა მონაწილეობით (2011 წ.); საქართველოს მუსიკალური საზოგადოების დარბაზში დიმიტრი გულიას, გიორგი შარვაშიძის, ჯანო ჯანელიძის, გენო და რენე კალანდიების, მურმან ხურცილავას, ტიტე მოსიას ლექსების შესრულება სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრ „თეთრი ტალღის“ მსახიობების მიერ, აქვე რენე კალანდიას, დარიკო ფიფიას, მანონ ბულისკერიას მიერ საკუთარი ლექსების წაკითხვა (2012 წ.); კრებულ „მცირე გულანის“ (სარედაქციო ჯგუფსა და ავტორებთან შეხვედრა ცენტრის ოფისში (2013 წ.); მწერლის 140 წლისთავის აღსანიშნავად რუსუდან ჯანაშიასა და ნუგზარ ანთელავას მოწვევა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და ახლადგამოცემულ კრებულ „აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლიკის“ შესახებ სასაუბროდ (2014 წ.).

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმ გულწრფელობას, რომლითაც მზადდებოდა დიმიტრი გულიასადმი მიძღვნილი ესა თუ ის ღონისძიება. არავინ არავის არაფერს აიძულებდა, მაგრამ ყველას კარგად ესმოდა იმ შეხვედრების მნიშვნელობა, სადაც პატივს მიაგებდნენ ადამიანს, ვისი სულიერი სამყარო დღესაც გვაჯილდოვებს უმაღლეს ფასეულობათა შეცნობით. მთავარი კი ისაა, რომ ეს შეხვედრები სავსე იყო აფხაზეთის სიყვარულით, ხალხის სიყვარულით, გრძნობით, რომელიც ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის არსს წარმოადგენს.

კულტურული ადამიანის მთავარი ნიშანი ინტელიგენტობაა. სწორედ ამით გამოირჩეოდა დიმიტრი გულია. ყველგან და ყველაფერში მისთვის სულიერი ინტერესები ყოველივე მტერი-ალურზე მაღლა იდგა, ამასთან იგი მუდამ პატივისცემით იყო გამსჭვალული „სხვისადმი“, რაც ხალხის სამსახურში გადაიზრდებოდა ხოლმე.

გულია და კეთილმოსურნე, იგი მეგობრობდა ქართულ პოეტურ და სამეცნიერო ელიტასთან მაშინაც, როდესაც მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში, მოგვიანებით კი სოხუმში, სადაც მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო კეთილი სტუმრისათვის. მის სტუმართა შორის იყო დიმიტრი არაყიშვილი, აფხაზური ფოლკლორის ნოტებზე გადატანის ერთ-ერთი პირველთაგანი, აფხაზური ეროვნული საკრავების პირველი აღმწერი. არ შეიძლება არ გავიხსენო დიმიტრი გულიას ოჯახის მეგობრობა კონსტანტინე სიმონოვთან, ის სიტბო, რომლითაც ის უხვად დააჯილდოვდა. სიმონოვის საპასუხო კეთილგანწყობა კარგად გამოიყვანდა დიმიტრი გულიას დაბადებიდან 100 წლის იუბილეზე. მოსკოვში აფხაზურ-ქართულ დელეგაციას სიმონოვი დახვდა არა მხოლოდ როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, არამედ როგორც უახ-

ლოესი ადამიანი, შეიძლება ითქვას, როგორც შვილი აფხაზი პოეტისა.

დიმიტრი გულიას ინტერესთა სფეროში გარკვეული ადგილი ეჭირა პედაგოგიკას. 1930 წლიდან იგი აფხაზურ ენას ასწავლიდა ახლადგახსნილ მუსიკალურ ტექნიკუმში. მის ყოფნას იმ ადამიანებს შორის, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი მშობლიური კულტურის განვითარებით, ცალსახად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ესენი იყვნენ სამსონ ჭანბა, კონდრატ ძიძარია, კონსტანტინე კოვაჩი, ოდისეი დიმიტრიანი, ანდრეი ჭოჭუა და სხვ. იმ დროს მუსიკალურ ტექნიკუმში ყალიბდებოდა ქართულ-აფხაზური გუნდი პლატონ ფანცულაიას ხელმძღვანელობით, რომელიც შემდგომში აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად იქცა, პირველი სიმფონიური ორკესტრი, იზრდებოდნენ პირველი მუსიკალური კადრები.

მე და ჩემი და ბავშვები ვიყავით, როდესაც ბატონი დიმიტრის ოჯახში დავედიოდი. ახლაც კარგად მახსოვს ჭაღარათიანი მოხუცი, მისი ფართო კაბინეტი, სადაც ყველაფერი სისუფთავისგან ბზინავდა, დიდი მაგიდა სასადილო ოთახში, მოფუსფუსე დიასახლისი ელენე ანდრიას ასული. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ასაკის გამო კარგად ვერ ვაცნობიერებდი დიმიტრი გულიას მნიშვნელობას საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, არ შემეძლო არ შემენიშნა ის თაყვანისცემა, რომელსაც მის მიმართ გამოხატავდნენ ოჯახში.

ვსაუბრობ და თვალწინ დიმიტრი გულიას სახლ-მუზეუმი მიდგას. ამის შესახებ არასოდეს მითქვამს, მაგრამ დღეს გავიხსენებ: თითქმის ყოველ დღეს ომის ქარ-ცეცხლში გახვეულ სოხუმში ამ სახლ-მუზეუმის მონახულებით, ბატონი დიმიტრის ქალიშვილ ტატიანასთან შეხვედრით ვინცებდი, რომელიც საერთო თანხმობით იმ სახლ-მუზეუმის დირექტორი გახდა და რომელსაც მისი ბავშვობის საუკეთესო წლები უკავშირდებოდა. ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული კულტურულ დაწესებულებათა ძარცვა და ჩვენ ვიცავდით მუზეუმს, ყველაფერს, რაც უკავშირდებოდა მომავალ ცხოვრებას, ცხოვრებას საფრთხისა და ძალადობის გარეშე.

დღეს მადლობას ვუხდით ყველას, ვინც თავისი ცხოვრების საათებსა და დღეებს დიმიტრი გულიას მემკვიდრეობის შესწავლას უთმობს, ვინც მშვენიერების ფასეულობათა შეცნობაში გვეხმარება, რის ხორცი შესხმასაც აფხაზეთის გამოჩენილი კულტურული და საზოგადოებრივი მოღვაწის პიროვნება, ცხოვრება, მემკვიდრეობა წარმოადგენს.

ჩვენი მეგობარი - ფოლადი

21 თებერვალს ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულმა ცენტრმა ცნობილ აზერბაიჯანელ მუსიკოსს, კომპოზიტორსა და მომღერალს — ფოლად ბულბულ ოღლის უმასპინძლა. თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ დარბაზში საქართველოს დიდი მეგობრის დაბადების 70 წლისთავი აღინიშნა. მომღერალს საიუბილეო საღამოზე თბილისის სიმფონიური ორკესტრი უწევდა თანხლებას აზერბაიჯანის სახალხო არტისტ ჯავანშირ ჯაფაროვის დირიჟორობით. საღამო თბილისის სიმფონიური ორკესტრის მთავარმა დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ გახსნა.

წინა დღეს, ორთაჭალაში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე, მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ფოლად ბულბულ ოღლის მამის, გამოჩენილი აზერბაიჯანელი მომღერლის, ტენორის, ბულბულის სკულპტურული პორტრეტი გაიხსნა (მოქანდაკე - გია ჯაფარიძე, არქიტექტორი - გიგა ბათიაშვილი), აქვე, სახლ-მუზეუმის დარბაზში სტატიების კრებულის “ფოლადი - საქართველოს მეგობარი” (მთ. რედაქტორი პროფ. ვალერი ასათიანი) პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციაზე სიტყვები წარმოთქვეს ავტორებმა, მათ შორის აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარემ, საქართველოსა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მუსიკათმცოდნე სვეტლანა ქეცბამ:

„- ფოლად ბულბულ ოღლი იყო და რჩება პიონერად იმ ესტრადისა, რომელიც იზიდავს ანიჭებს, სიხარულს გვერის, ადამიანს ანიჭებს ცხოვრების შეცნობის სიღრმესა და ბედნიერებას.

დღეს ფოლად ბულბულ ოღლი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია რუსეთის ფედერაციაში. მისი მოღვაწეობა ცხოვრების მრავალ სფეროს მოიცავს, სცილდება სამშობლოს საზღვრებს და ემსახურება მას...“

საქართველოს ღირსების ორდენოსანი ფოლად ბულბულ ოღლი ასე დაემშვიდობა ქართულ საზოგადოებას:

„ - მოგეხსენებათ, რუსეთში აზერბაიჯანის ელჩად ვმუშაობ და ხელოვნებისთვის უკვე ცოტა დრო მრჩება, მაგრამ, რადგან 70 წელი შემისრულდა, გადაწყვიტე, გამოიწვიოს დამემუშა. მართალია, ბაქოში უკვე გაიმართა ჩემი საიუბილეო კონცერტი, მაგრამ არ შემეძლო, ჩემს მეორე სამშობლოში — საქართველოში, სადაც მამა და დედა პირველად შეხვედნენ ერთმანეთს, არ ჩამოვსულიყავი. ჩვენ, აზერბაიჯანელები და ქართველები, ძმები ვართ და ჩვენი მეგობრობა მარადიულია.“

სულიერი მონყალების საყითხები

წმინდანთა ნაკვალებზე

2015 წლის 1 მარტს ჩატარდა მოლოცვითი ტური შემდეგი მიმართულებით: თბილისი-შიომღვიმის მონასტერი- მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მონასტერი – სვეტიცხოველი-სამთავროს მონასტერი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მრევლმა, რომლის ძირითად ნაწილს აფხაზეთიდან დევნილები წარმოადგენენ. მოლოცვის პარალელურად მამა დავით კონჯარიამ ჩაატარა საჯანმრთელო პარაკლისი შიომღვიმის კელიაში და პანაშვიდი დავით აღმაშენებლის სახელობის მონასტერში არქიმანდრიტ ილია კარტოზიას საფლავთან მცხეთაში. სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში მამა დავითმა ზეით აცხო მოლოცვითი ტურის ყველა მონაწილეს, ხოლო სამთავროს მონასტერში გაიხსენა წმ. ღირსი მამა გაბრიელ აღმსარებელი-სალოსი და ისაუბრა მის ღვაწლზე.

მოქალაქი სკოლაში

აფხაზეთის ჯუმბერ ბეთაშვილის სახელობის №2 საჯარო სკოლაში 2015 წლის 25 თებერვალს თბილისის ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, მღვდელმა დავით კონჯარიამ ჩაატარა საჯანმრთელო პარაკლისი. სკოლის დირექტორის ქალბატონ ნანა ჯვალაღონიას მხარდაჭერით პარაკლისს დაესწრნენ აღნიშნული სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და მათი მშობლები. ქადაგების დროს მამა დავითმა ისაუბრა სარწმუნოების როლზე ადამიანის ცხოვრებაში, ქრისტიანისათვის აღსარებისა და ზიარების მნიშვნელობაზე, დიდ მარხვაზე, მისი დაცვის წესებსა და სარგებლობაზე. შეხვედრა ზეითცხებით დასრულდა.

საქართველო აფხაზეთიდან ინყება...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ლოცვა-კურთხევა მისცა მცხეთა-თბილისის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამღვდელობას, დალოცონ და აკურთხონ დევნილთა კომპაქტური დასახლებები. ეს მოხდა 2008 წელს. ამ მისიის შესასრულებლად მათ გადაეცათ ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რადგან სწორედ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი ითვლება აფხაზეთის მთავარ სიმინდედ.

პროექტის კოორდინაცია დაევალა მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების ხელმძღვანელს, ჭიათურისა და

საჩხერის მიტროპოლიტ დანიელს (დათუაშვილი). ამ ხნის განმავლობაში დაილოცა პრაქტიკულად მთელი თბილისის დევნილთა კომპაქტური დასახლებები – იკურთხა ბევრი ოჯახი, ჯვარი დაინერა უამრავმა წყვილმა, მოინათლნენ ბავშვები. სასულიერო პირებმა აღსარება ჩაიბარეს და ადგილზე აზიარეს ის ადამიანები, რომლებიც ასაკისა და ავადმყოფობის გამო ვერ დადიან ტაძარში.

ამ აქციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და შემდეგ გაჩნდა იდეა, რომ თბილისში აშენებულიყო ამ ხატის სახელობის ტაძარი, მით უფრო, რომ დღეს აფხაზეთში, I საუკუნეში ანდრია პირველწოდებულის მიერ დაარსებულმა ბიჭვინ-



თის საკათედრო ტაძარმა საკონცერტო დარბაზის ფუნქცია იტვირთა და იქ საღვთო მსახურების ნაცვლად სხვადასხვა მუსიკალური სანახაობა იმართება. ამიტომაც საქართველოს დედაქალაქში ამ ტაძრის გაცოცხლება ასე მნიშვნელოვანია. იგი უნდა გახდეს ქართველებისა და აფხაზების შერიგების სულიერი ცენტრი და აფხაზეთში მშვიდობიანი დაბრუნების საწინდარი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 2014 წლის 11 აგვისტოს ქ. თბილისში, თემქის დასახლების მე-11 მიკრორაიონის პირველ კვარტალში ზოდებელმა ეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა აკურთხა ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის საძირკველი და 2015 წლის 21 თებერვალს მშენებარე ტაძრის ეკვდერში, რომელიც აგებულია წმ. ღირსი მამა გაბრიელ აღმსარებელ-სალოსის სახელზე, ჩატარდა პირველი წირვა-ლოცვა.

ამ ტაძრის მშენებლობით ჩვენ ვინანიებთ უფლის წინაშე ჩადენილ ცოდვებს, აფხაზეთში დატრიალებულ უბედურებას, რისი მიზეზიც ჩვენი არაეკლესიურობაა, სწორედ

ამიტომ მოახერხა მტერმა ჩვენი განშორება და გადამტერება. აფხაზეთთან და ოსებთან ჩვენ არაფერი გვაქვს გასაყოფი. საქართველო და მისი ეკლესია დღესაც ლოცულობს და ზრუნავს მათზე .

დღეს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის დედანი დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მის სახელზე და აფხაზეთის სხვა სინმინდეების სახელზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგებულია უამრავი ტაძარი, სადაც ჩამოყალიბდა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მომავალი სამღვდლოება და როდესაც ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია თავის მრევლთან ერთად დაბრუნდება აფხაზეთის მიწაზე, თავის მშობლიურ ნიაღში, ეს ტაძრები, აგებული განსაკუთრებული სიყვარულით, ტკივილით, იმედითა და სასოებით, დარჩება, როგორც ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობის, გამძლეობისა და ერთიანობის სიმბოლო.

თბილისის ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მღვდელი დავით კონჯარია

ვ ყ ლ ო ც ა ვ თ

ჩვენი ცენტრის ერთგულ მეგობარსა და გულშემამტკივარ ქალბატონ რაისა ქარაიას იუბილეს, წარმატებულ ცხოვრებისეულ გზას და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ახალ-ახალი წარმატებების მისაღწევად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საჭოს დეპუტატის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ ქალბატონ რაისა ქარაიას დაბადების საიუბილეო თარიღს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე პრობლემები“ მიუძღვნეს. იუბილარს მიესალმნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია, ემერიტუს-პროფესორი ლიანა ჯიქია, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა და სხვები. მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები: როლანდ კოპალიანი, თამაზ ცანავა, ვაჟა თოდუა, მარინა ზუხბაია.

აღნიშნულ სამეცნიერო კონფერენციასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარიას:

- ბატონო ჯემალ, ჩვენი ინფორმაციით, თქვენ ამ კონფერენციაზე ვრცელი მოხსენებით იყავით წარმოდგენილი. მკითხველისათვის საინტერესო იქნება თუ რამ განაპირობა სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებული კონფერენციის მუშაობაში თქვენი აქტიური მონაწილეობა?

- აფხაზეთის სოფლის მეურნეობის წლი საქართველოს ეკონომიკაში თვალსაჩინო იყო, მაგრამ ჩვენი იქიდან წამოსვლის შემდეგ აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, განსაკუთრებით სუბტროპიკულს, იმდენად სერიოზული პრობლემები შეექმნა, ლამის გაქრობის საფრთხეც კი დაემუქრა. ამიტომაც გასაგები უნდა იყოს ჩვენი გულისტკივილი და მცდელობა შორიდან მაინც არ მოვაკლოთ მზრუნველობა. ამჯერად კონფერენცია იმით იყო აღსანიშნავი, რომ დარგის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის, მეცნიერისა და მოღვაწის, ქალბატონ რაისა ქარაიას - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის დაბადებიდან 75 წლისთავს დაემთხვა.

- თქვენი აკადემიის არაერთი წარმომადგენლის მოღვაწეობას იცნობს ჩვენი საზოგადოება. რას გვეტყვით ქალბატონ რაისა ქარაიას სამეცნიერო საქმიანობაზე?

- ქალბატონი რაისა ჯერ კიდევ აფხაზეთში მუშაობის პერიოდში იყო გამორჩეული. აფხაზეთის ომამდე მან თავის

დარგში, ანუ მეციტრუსეობაში, საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღიარებული მეცნიერის სახელი მოიხვეჭა. იმ დროისათვის რაისა ქარაია ოთხ ათეულზე მეტი ნაშრომის, ციტრუსების 6 ახალი ჯიშის ავტორი და პომპელმუსის ახალი ჯიშის “ხეთურის” თანაავტორი იყო. მისი შრომები ქვეყნდებოდა სოხუმში, თბილისში, პეტერბურგში, კიშინიოვში, მოსკოვში და ა.შ. იგი არის გენეტიკოსთა და სელექციონერთა საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. სამაგალითო იყო მისი სამეცნიერო ნაშრომი „მსხვილნაყოფა ციტრუსოვანთა სელექცია“. აღსანიშნავია, რომ მან სამეცნიერო მოღვაწეობა პრაქტიკული მუშაობით - რიგითი მუშის სტატუსით 1962 წელს ნ. ვავილოვის სახელობის მემცენარეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის საცდელ სადგურში დაიწყო და გამოჩენილი ინტერესისა და კვალიფიციურობის გამო, რამდენიმე ხანში დაწესებულების დირექტორი გახდა.

- თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ისტორიკოსი კი არა ბოტანიკოსი იყო. . .

- ბევრი მეცნიერი წლების განმავლობაში მხარდამხარ მოვიდივართ და ვიცით ერთმანეთის წარმატებებიც და წარუმატებლობაც, ბიოგრაფია. მათ შორის არის რაისა ქარაია. მასზე მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების გამოხმაურებები ვრცელდებოდა და ასახელებდნენ, როგორც დარგში საუკეთესოს, ეს ზოგადად საქართველოს მეცნიერთა აღიარებაც გახლდათ. მან საკანდიდატო დისერტაცია, სათაო ინსტიტუტში, პეტერბურგში ჩვეულებრივი წესით კი არ დაიცვა, არამედ ნაშრომთა ერთობლიობით - სამეცნიერო მოხსენებების სახით და ერთ-ერთ უდიდეს სელექციონერად დასახელდა. მეტიც, სადისერტაციო საბჭოზე დადგა საკითხი მისთვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭებინათ, რაც უიშვიათესი მოვლენა გახლავთ. ისიც უნდა გითხრათ, რომ არანაკლებ საინტერესოა რაისა ქარაიას ოჯახური ბიოგრაფია და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

- რა გაქვთ მხედველობაში?

- რაისა ქარაია ცნობილი ლტობარის, ქართული ხალხური სიმღერების უზადლო შემსრულებლის კონსტანტინე ჩიკვატიას და სულიკო შენგელიას ოჯახში დაიბადა. გალელებს დღემდე ახსოვთ მათ ოჯახში ისეთი ადამიანების სტუმრობა, როგორებიც იყვნენ აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის თეატრების მთელი დასიც კი, სუხიშვილების ანსამბლის სრული შემადგენლობა... კონსტანტინე ჩიკვატიას ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ სოხუმის ს.ჭანბას სახელობის თეატრის მსახიობები, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. აქ იკრიბებოდნენ ქართული ხალხური სიმღერების გამორჩენილი შემსრულებლები კინი გეგეჭკორი და აკაკი ხარეზავა, რომლებთან ერთადაც კოტე

ჩიკვატიას მიერ შესრულებული სიმღერა საქართველოს რადიოს ოქროს ფონდშია შეტანილი.

რაც შეეხება რაისა ქარაიას საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იგი სრულიად ახალგაზრდა ასაკიდან გალის საქალაქო საბჭოს ორი მოწვევის წევრი გახლდათ; 1975-1988 წლებში ხუთჯერ აირჩიეს გულრიფშის სადაბო საბჭოს წევრად; 1989 წელს მან ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის ისტორიაში პირველ დამოუკიდებელ ქალთა ორგანიზაციას - გულრიფშის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება "წმინდა ნინოს", 1991 წლიდან კი ქალბატონი რაისა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

დამეთანხმებით, ალბათ, არც ისე იოლია ყოველთვის და ყველაფერში იყო „წარჩინებული“, მაგრამ რაისა სკოლიდან მოყოლებული უმაღლეს სასწავლებელში, საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამსახურში, ოჯახსა და ომშიც კი ნამდვილად გამორჩეულია. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, ის სხვადასხვა წლებში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქვე-

კომისიებს ხელმძღვანელობდა, იყო დევნილთა უფლებების დაცვისა და სოციალური რეაბილიტაციის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ამჟამად ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" ხელმძღვანელია. აფხაზეთის ომის განმავლობაში წინა ხაზზე მყოფ მეომრებზე და დაჭრილებზე ზრუნვით იყო დაკავებული. მეომრებმა მას სიყვარულით "დედა ტერეზა" შეარქვეს. მეუღლესთან, ტარიელ ქარაიასთან ერთად ქალბატონმა რაისამ საუკეთესო ქალ-ვაჟი აღუზარდა ქვეყანას. მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო საკუთარი ოჯახია. ალარაფერს ვამბობ აფხაზეთის ომის მონაწილე მისი ოჯახის სხვა წევრებზე, მხოლოდ ერთს - ავთანდილ ქარაიას, მრავალგზის დაჭრილ და უფლის ნებით, ბუნვეზე გარდაარჩენილ მის ვაჟს აღვნიშნავ. რაისა ქარაია ღირსების ორდენით არის დაჯილდოებული. იგი ერთ-ერთი მათგანია, ვინც ღირსების ორდენი ნამდვილად დაიმსახურა, როგორც მოქალაქემ და პატრიოტმა, დევნილთა უფლებების პრინციპულმა დამცველმა, დეპუტატმა და მეცნიერმა.

ს თ ხ ს ზ ე თ ი ს მ ო ნ ს ც რ ე ბ ა

ელგუჯა გვაზავა

სოხსზიოს

სხვისი ფანჯრიდან სხვის წას ვუყურებ - ჩემს სამშობლოში დევნილი მქვია. გაზაფხულია და მახსენდებან, რა ლამაზია ათონზე ია. აფეთქებულია ზუნება ჩვენსას და ზღვარ ზომოქრობს. ვითარუნა ლემი*. ჩვენი სამშობლო საქართველოა, აფხაზეთი კი - აკვანი ჩვენი.

სოხსზ მეგობრობს

ჩვენი შიშველი სული დავსერეთ, ქალაქს ვესროლიეთ - სიყრმის ოქნებას. თუ ვინმე მეტყვის - რა დავგემართა, ვერ გაუგია ჩემს სუსტ გონებას. არ გახსენდებან თეთრი ქალაქი? ლურჯი ტალღები, წისფრი ზეურა, აქ დავინადეთ, აქ გავიზარდეთ, აქ დავვაყაყადეთ ორივე ერთად. რატომ გამხინრე, აფხაზო ძმაო? რატომ აღმართე ქართველზე ხელი? მეტე გიპასუხე, სისხლს რომ იხილავ, თურმე პასუხიერ არ არის ძნელი. სოხსზს ვესროლიეთ, მოვკალით ერთად ის, რაე გვიყვარდა, მიგვაჩნდა ღმერთად.

სოხსზს რა სოხსზიეობს

ჩემი სიროქხლის ხაზი განსყვეტილია შუაზე, მე უკვე ერთხელ მოკვდი, როუნა გიხილე ზღვაზე,

მეორედ მოკვდი მაშინ, როუნა ნახვამდის ვითხარ, ჩემო ქალაქო, თეთრო, მზით ვარუჯული თუ ხარ?

ისევ თუ გეფერება შენი უკუნი ლამე? შენს გოგო-პიჭვებს ისევ ყავას თუ უსხამს ამე?

იმ შენს თეთრ სანაპიროს ჰენი თუ შერჩა ძველი? ჩემო სოხსზო, დედაც, ვიერი, რომ მუდამ გველი.

ხაიკინა ყოვლისა ღმერთისა ღმერთისა
და მათისა ქალწულისა მათისა
25 (07.04) მაისი

ზაქარაიასთან მთავარანგელოზის გამოცხადებიდან მეექვსე თვეს გაბრიელ მთავარანგელოზი გალილეის ქალაქ ნაზარეთში იქნა მივლინებული ქალწულ მარიამთან, რომელიც დანიშნული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე. უფლის წინაშე მდგომელმა მას ასე მიმართა: „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი მენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლკ. 1,28). მარიამი შეძრწუნდა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვად ესე?“ (ლკ. 1,29). ზაქარია ურწმუნოების გამო არ ენდო მთავარანგელოზის სიტყვებს და დაისაჯა, მარიამი კი სიმდაბლის გამო დაეჭვდა, ამიტომ ზეციურმა მაცნემ კრძალვითა და მოთმინებით განაგრძო მისი დაჯერება: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე ძალი წინაშე ღმერთისა. და აჰა ესერა შენ მუცლად-ილო და ჰპოვე ძე და უნდოდ სახელი მისი იესუ“. იგი თანდათან უცხადებდა ქალწულს, თუ ვინ იქნება მისი მუცლის ნაყოფი: „ესე იყოს დიდ და ძე მაღლისა ინოდის, და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის, მამისა თვისისა და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფევსა მისისა და არა იყოს დასასრულ“ (ლკ. 1, 30-33) - მარიამის ძეს ღმერთი აღუთქვამს დავითის საყდარს, ანუ ისრაელის სამეფო ტახტს და იაკობის სახლზე, ანუ ისრაელის თორმეტ ტომზე საუკუნო სუფევას. მარადიული მხოლოდ ღმერთია. იაკობის სახლი კი უფლის მხილველი, მორწმუნე ერია, რომელიც თავისი ლოცვით, სულით უფალთანაა შეერთებული. ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია ქალწულისაგან უმამაკაციოდ შობა, ამიტომ ღმერთისმომოვლი კითხულობს: „ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არ ვიცი?“ (ლკ. 1, 34). ანგელოზი პასუხობს: „სული წმიდად მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გვარვიდეს შენ“ (ლკ. 1, 35) და ნიშანსაც აძლევს - მისი ნათესავი, მოხუცი ელისაბედიც, უკვე მეექვსე თვეა, რაც მიდგომილია. ყოვლადწმიდას სისწორით უნდოდა შეტყობა ღვთის ნებისა, ეშინოდა, რომ არ შემცდარიყო, მაგრამ როცა ყოველივე გამოწველივით გაიგო, დამორჩილდა და მიენდო უფალს: „აჰა მხევალი უფლისა და, მეყავნ მე სიტყუსაებრ შენისა!“ (ლკ. 1, 38). და მეყსეულად შევიდა სულიწმიდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში და მისი ბუნება განწმიდა. რა იარაღითაც ჩვენი დაცემისათვის იღვანა ეშმაკმა, იმავე იარაღით გვიხსნა ქრისტემ; თუ ევას საქციელმა ადამის მოდგმას ცრემლი მრავალგზის დაადინა, ქალწულმა მარიამმა უდიდესი სიხარული მოუტანა. შემთხვევითი არაა, რომ ღვთისმშობელს მარიამი - „განმანათლებელი“ ჰქვია: სიბნელეში მყოფ კაცობრიობას მის მიერ გამოუბრწყინდა მზე სიმაართლისა და მორწმუნეთა გონებანი განანათლა.

უდიდეს საუფლო დღესასწაულს, რომელსაც 25 მარტს დღესასწაულს წმიდა ეკლესია, ხარება ეწოდება, რადგან ამ დღეს არამხოლოდ ყოვლადწმიდა მარიამს, არამედ მთელ კაცობრიობას ეხარა, რომ სახიერმა ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი სიკვდილისა და ცოდვის სამუდამო ტყვეობისათვის ვერ გასწირა და მისი ეშმაკის მონობისაგან გამოხსნა გადაწყვიტა. ეს დღე არის დასაბამი, „თავი ჩვენი ცხოვნებისა და გამოჩინება საუკუნითგან დამალულისა საიდუმლოდსა“.

„წმიდანთა ცხოვრება“, ტომი I, თბილისი, 2008 წ.

*„ლემი“ - ლომი სვანურად

საკლესიო კალენდარი

- 2 აპრილი (ხუთშ.) — მონამე ფოტინეს ხსენება (დაახ. 66წ.);
- 3 აპრილი (პარ.) — ღირსი იაკობ ეპისკოპ., აღმსარებლის ხსენება (VIII ს.)
(პირველშენიერულის ლიტურგია).
- 4 აპრილი, ლაზარეს შაბათი
— მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება
— ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი
(წმ. იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილი თევზით)
- 5 აპრილი, დიდი მარხვის მე-6, ბზობა-ბაიაობის კვირა
— იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში.
- 6 აპრილი, ვნების შვიდეული. დიდი ორშაბათი – (პირველშენიერულის ლიტურგია).
- 7 აპრილი, ვნების შვიდეული. დიდი სამშაბათი
— ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა
(წმ. იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილი თევზით)
- 8 აპრილი, ვნების შვიდეული. დიდი ოთხშაბათი.
— კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა.
(პირველშენიერულის ლიტურგია).
- 9 აპრილი, ვნების შვიდეული. დიდი ხუთშაბათი.
— საიდუმლო სერობის ხსენება.
(წმ. ბასილი დიდის წირვა).
- 10 აპრილი, ვნების შვიდეული. დიდი პარასკევი.
— ხსენება წმიდათა მაცხოვრებელთა ვნებათა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ცისკრად 12 ვნების სახრების კითხვა – წირვას არ უჩენს).
- 11 აპრილი, ვნების შვიდეული. დიდი შაბათი (წმ. იოანე ოქროპირის წირვა).
- 12 აპრილი, კვირა — ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი
(წმ. იოანე ოქროპირის წირვა);
- 13 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი — საფლავთა კურთხევა.
- 14 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი
— ივერიის ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული.
- 15 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათი
— ღირსი გიორგი მანყვერელის ხსენება (IX-X ს.ს.);
- 16 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათი
— ღირ. ნიკიტა აღმსარებლის ხსენება (824წ.)
- 17 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევი
— „წყაროდ ცხოვრებისად“ ნოდებული ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული.
- 18 აპრილი, ბრწყინვალე შვიდეულის შაბათი
— წირვის შემდეგ არტონის განტეხა (თბილისის სიონში თავად გივი ამილახვარის სულის საოხად ჟამი შეინიერვის)
- 19 აპრილი, აღდგომიდ მე-2 თომას კვირა. კვირა ცხომლობა.
- 21 აპრილი (სამშ.) — მიცვალებულთა ხსენება.
- 23 აპრილი (ხუთშ.) — მამათა და დედათა, ქვაბთახევის მონასტერში ნამებულთა ხსენება (1386წ.).
- 26 აპრილი, აღდგომიდან მე-3 მენელსაცხებლე დედათა კვირა
— აღმართებაი პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისა.
— წმ. კეთილმორწმუნე ქართველთა მეფისა თამარისა.
- 28 აპრილი (სამშ.) — მონ. სუქიასი და მისთანა 16 ქართველთა ხსენება.
- 30 აპრილი (ხუთშ.) — წმ. ეფრემ დიდის, მანყვერელის ხსენება.

ჩვენი მოქმედი

კითხვა-მიბეზა ლიტურგიკულ საკითხებზე



— რა განსხვავებაა „საიდუმლოსა“ და „ნესს“ შორის?

— მართლმადიდებლურ ღვთისმახურებაში ერთმანეთისაგან ასხვავებენ „საიდუმლოებასა“ და „ნესს“.

საიდუმლოებებში, წესებისაგან განსხვავებით, ადამიანი განსაკუთრებულ, არსებით თვისებებს იძენს, ახალ სულიერ მდგომარეობას აღწევს და ქრისტიანული ყოფის ახალ საფეხურზე ადის. ასე მაგალითად: ნაკურთხი წყლის მიღებით, ღმერთი ეკლესიური ცხოვრების ძალას მატებს მორწმუნეებს, და შესაძლებელია, საღმრთო განგებულებით, ჯანმრთელობაც მიჰმადლოს მათ, მაგრამ, საიდუმლოებებში სხვა უფრო აღმატებული, თვალსაჩინო ცვლილებები ხდება. საიდუმლოთა აღსრულების მიზანს ხომ პიროვნების განღმრთობა წარმოადგენს, რაც გარდაქმნის ადამიანს, აახლებს მის ბუნებასა და პიროვნებას.

რაც შეეხება წესებს, გარკვეული თვალსაზრისით, მათში ყველა ის მსახურება იგულისხმება, რომლებიც 7 საეკლესიო საიდუმლოს არ განეკუთვნებიან.

საღვთისმსახურო წესები პირობითად სამ სახედ იყოფიან:

— ერთი ეკლესიის ლიტურგიკული ცხოვრების (მსახურების) განუყოფელ ნაწილად წარმოგვიდგებიან (ხუთი პურის ან არტოსის კურთხევა, ცისკარზე სახარების წაკითხვის შემდეგ მორწმუნეთათვის ზეთის ცხება და სხვა);

— მეორე ადამიანთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვისაა გამიზნული (სახლის, ვენახის, ახალი ღვინის, მანქანის ან ნებისმიერი ნივთის კურთხევა);

— და ბოლოს ის სიმბოლური წესები (ქმედებები), რომლებიც ქრისტიანულ იდეებს, აზრებს და გრძნობებს გამოხატავენ (ჯვრის გამოსახვა, მეტანიები, აღმოსავლეთით ლოცვა, ზიარებისას მკერდზე ჯვრის სახედ ხელების დანყოფა და მრავალი სხვა).

— თუ შეიძლება ზიარება იმ ნაწილებით, რომლებიც კვეთისას ამოიღეს ღვთისმშობლის, ცხრა დასის, ცოცხალთა ან მიცვალებულთათვის განკუთვნილი სეფისკვერებიდან?

— რა თქმა უნდა, არა, რადგან ხსენებული ნაწილები არ გარდაარსდებიან (გადაიქცევიან) მაცხოვრის წმიდა ხორცად! (1. 87).

ტაძრებში ზიარება აღსრულება საღმრთო ლიტურგიის მსვლელობისას, ევქარისტიული კანონის დასრულების შემდეგ. ამასთან, ერისკაცნი ეზიარებიან „ძლ“ და „ვა“ ნაწილებით, სასულიერო პირები — „ქრისტე“ ნაწილით, ხოლო „იესო“ ნაწილით კი არავინ არ ეზიარება.

იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ძლიერ ავად შეიქნა, საეკლესიო განჩინებით, ნებადართულია მათი ბინაზე (საავადმყოფოში) ზიარება დიდ ხუთშაბათს დამზადებული წმიდა ნაწილებით.

— გთხოვთ მოკლედ გვესაუბროთ გალობასა და 8 ხმის მნიშვნელობაზე.

— გალობა მუსიკალური ბგერებით გადმოცემული და გაძლიერებული ღვთის სიტყვაა, რომელიც ღვთაებრივ განგებულებას აუწყებს ლიტურგიული ცნობიერების

მქონე მრევლს(2. 88).

„ხმანი“ ეწოდება I, II, III და IV ხმებს, „გუერდნი“ კი -V, VI, VII და VIII ხმებს (4.546).

რვა ხმა (ბერძნ. οκταῦχος) საეკლესიო ვოკალური მუსიკის კილო-მელოდიური სისტემაა, სადაც საგალობლები მხოლოდ დადგენილ რვა ჰანგზე აიგება. თითოეული ხმა წარმოადგენს დაკანონებულ ჰანგს. რვა ხმა ექვემდებარება უანრულ დიფერენცირებას.

საგალობლის ხმა ამა თუ იმ ლოცვითი განწყობის გამოხატველია, რომელიც ჰიმნოგრაფიული ტექსტის შინაარსითა და მისი მუსიკალური „ემემოსილობით“ წარმოჩინდება.

ერთ-ერთი ლიტურგისტის განმარტებით (3. 180-181): პირველი ხმა მარტივი და მნიშვნელოვანია, დიდებულია და საზეიმო. მას ადარებდნენ მზეს, რადგან მისი ჰანგი დევნის სიზარმაცეს, უილაჯობას, მცონარობას, რულს, მოწყენილობას და მოუსვენრობას;

მეორე ხმა აღსავსეა სიმშვიდით, სინყნარით, თვინიერებით, ღვთისმოშიშებით; იგი ნუგუშს სცემს დამწუხრებულთა და დევნის მტანჯველ განცდებს;

მესამე ხმა ბობოქარია, როგორც ზღვა უამინდობაში. იგი ადამიანს სულიერი ბრძოლისაკენ აღძრავს;

მეოთხე ხმა ორგვარია: იგი სულში ხან სიხარულს აღძრავს ხან კი (ჩადენილი ცოდვების გამო) სინანულს და წუხილს; მშვიდი და ნელი მელოდიური გადასვლებით განსაკუთრებულ სიმშვიდეს ჰგვრის სულს. აღძრავს ადამიანს ზეციურისაკენ და ჩვენზე საღმრთო მადლის მოქმედებას გამოხატავს;

მეხუთე ხმა აცხრობს სულიერ მღელვარებას; იგი ლოცვასა და ცოდვათა გამო სინანულის მდგომარეობას ესადაგება;

მეექვსე ხმა სულში აღვივებს ღვთისმოსაობას, ღვთისადმი ერთგულებას, ადამიანურობას, სიყვარულს;

მეშვიდე ხმა რბილია, მგრძნობიარე და გულში ჩამწვდომი. დამრიგებლური და შეგონებითი. იგი ადამიანს ღვთის ღმობიერმყოფელი ლოცვისაკენ აღძრავს;

მერვე ხმა სამომავლო მარადიული ცხოვრების რწმენის გამოხატველია და ზეციურ საიდუმლოებათა ჭვრეტაში ეხმარება ადამიანებს. იგი სულის ნეტარი მდგომარეობისათვის ლოცვაა.

თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბიძინა (ბუწია)

ჩვენს მემკვიდრეობაში – ერთობა



ცენტრალური



სამართალი





საჩუქრის საკათედრო ჭაძანი. სონუძი

ISSN 2298-0865



9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი